მიკროფოტოასლი
МИКРОФОТОКОПИЯ

1495

Ц. Исторический Архив
Фонд № 481 оп. № 1 Ед. хр. № 1495

1495 (6978) სამეურნეობის ბიბლიოთეკის წიგნები.
1915 წ. ფურც. 4.

1915.
4 ლ.

Форма № 23

Центральный государственный исторический архив Грузинской ССР в г. Тбилиси

Лист использования документов

Фонд № 481 год _____ опись № 1 ед. хр. № 1495

Дата использования	№№ использованных листов	Для какой цели использован документ	Характер использования документа (снята копия, сделана выписка)	Подпись лица, сделавшего запись
1	2	3	4	5

Тип. изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14 Зак. № 8294, т. 20000

Ф № 481 (229)

1495

Общество распространения грамотности среди Грузин

Ц. Н. Архив
Фонд № 481 1 Ед. хр. № 1495

Центр. Н. Архив
Фонд № 481
Ед. хр. № 6978

Устав библиотеки общества распространения грамотности среди Грузин.

/из России/

1915 год.

4 л.

წესდება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ბიბლიოთეკისა.

§ 1. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აარსებს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, რომ უფასოდ მიაწოდოს ადგილობრივ მცხოვრებლებს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები სახლში წასაღებად ან თვითონ სამკითხველოში წასაკითხად.

§ 2. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შეუძლია იქონიოს ყოველგვარი წიგნი, ჟურნალი თუ გაზეთი, რომელიც აკრძალული არაა კანონის მიერ.

შენიშვნა: ბიბლიოთეკა ყოველ წელს უნდა შევსებულ იქმნას წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

§ 3. ბიბლიოთეკის ლონისძიებას შეადგენს: ა) შემწეობა წ. კ. საზოგადოების მთავარი გამგეობისაგან (ან განყოფილების გამგეობისაგან). ბ) დამხმარე წევრის გადასახადი, ვ) შემოწირულება კერძო პირისა ან საზოგადო დაწესებულებისა, დ) ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის ან საღამოს შემოსავალი და სხვა.

§ 4. ბიბლიოთეკის საქმეებს განაგებს გამგეობა, რომლის წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. გამგეობა ირჩევს თავმჯდომარეს, ხაზინადარს და მდივანს. ბიბლიოთეკის გამგე და მთავრობის წინაშე პასუხისმგებელი ითვლება გამგეობის აუცილებელ წევრად.

ბიბლიოთეკის გამგეობას ირჩევს სამის წლის ვადით ბიბლიოთეკის დამხმარე წრე. ან წ. კ. საზოგადოების გამგეობა (სადაც განყოფილებაა, იქ განყოფ. გამგეობა), ან ისეთი დამხმარე წევრები, რომელთაც გადაუხდიათ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ერთდროულად ერთი თუმანი მაინც. ან რომელნიც ყოველწლიურად იხდიან არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

§ 5. გამგეობა შეიკრიბება თვეში ერთხელ მაინც თავმჯდომარის მოწვევით და თვალყურს ადევნებს, რომ ბიბლიოთეკის საქმეები სწარმოებდეს წესიერად, იცავს ბიბლიოთეკის ქონებას, ცდილობს საშუალების მოპოებას ბიბლიოთეკის გასაუმჯობესებლად, შეამოწმებს დავთრებს, შეადგენს ყოველწლიურ ანგარიშს წ. კ. საზოგადოების გამგეობაში წარსადგენად და სხვა.

შენიშვნა ბიბლიოთეკაში ცალკე დავთარი უნდა იქნეს მკითხველთათვის, რომელშიაც ჩასწერენ, თუ რა წიგნის ან ჟურნალის შეძენა მიაჩნიათ საჭიროდ ან თუ რაიმე ნაკლულევანება შენიშნეს ბიბლიოთეკაში. ამ შენიშვნებს

განიხილავს გამგეობა და, თუ საჭიროდ სცნო, მიიღებს შესაფერ ზომებს.

§ 6. ბიბლიოთეკის საქმეების პირდაპირ მწარმოებლად გამგეობა ირჩევს ბიბლიოთეკარს ან თავის წევრთა შორის ან გარეშე პირთაგან. უკანასკნელ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი საქმეს აწარმოებს გამგეობის პასუხის მგებლობისა და ზედამხედველობის ქვეშ.

§ 7. ბიბლიოთეკარი მისცემს მსურველს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, დაეხმარება მათ რჩევითა და განმარტებით, იცავს წესიერებას ბიბლიოთეკაში, შეადგენს გამგეობაში წარსადგენად წიგნების და გაზეთების სიას, რომლების შეძენა საჭიროა, და აწარმოებს ბიბლიოთეკის დავთრებს.

§ 8. ბიბლიოთეკას აქვს: ა) საკვიტანციო წიგნი, ბ) ინვენტარის წიგნი, გ) შემოსავალ-გასავლის წიგნი, დ) ქრონოლოგიური კატალოგი, ე) სისტემატიური კატალოგი და ვ) ხელის მომწერთა და მკითხველთა წიგნი.

საკვიტანციო წიგნიდან კვიტანცია უნდა მიეცეს, ვინც რასმე შემოსწირავს ან გადაიხდის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. შემოსავალ გასავლის წიგნში იწერება ყოველგვარი შემოსული ფული და ყოველგვარი ხარჯი. ქრონოლოგიურ კატალოგში ჩაიწერება ყოველი შემოწირული ან ნაყიდი წიგნი და ჟურნალი, იმის მიხედვით, თუ როდის შემოწირულა ან შეძენილა სყიდვით, შემოსვლის კვალობაზე. სისტე-

განიხილავს გამგეობა და, თუ საჭიროდ სცნო, მიიღებს შესაფერ ზომებს.

§ 6. ბიბლიოთეკის საქმეების პირდაპირ მწარმოებლად გამგეობა ირჩევს ბიბლიოთეკარს ან თავის წევრთა შორის ან გარეშე პირთაგან. უკანასკნელ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი საქმეს აწარმოებს გამგეობის პასუხის მგებლობისა და ზედამხედველობის ქვეშ.

§ 7. ბიბლიოთეკარი მისცემს მსურველს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, დაეხმარება მათ რჩევითა და განმარტებით, იცავს წესიერებას ბიბლიოთეკაში, შეადგენს გამგეობაში წარსადგენად წიგნების და გაზეთების სიას, რომლების შეძენა საჭიროა, და აწარმოებს ბიბლიოთეკის დავთრებს.

§ 8. ბიბლიოთეკას აქვს: ა) საკვიტანციო წიგნი, ბ) ინვენტარის წიგნი, გ) შემოსავალ-გასავლის წიგნი, დ) ქრონოლოგიური კატალოგი, ე) სისტემატიური კატალოგი და ვ) ხელის მომწერთა და მკითხველთა წიგნი.

საკვიტანციო წიგნიდან კვიტანცია უნდა მიეცეს, ვინც რასმე შემოსწირავს ან გადაიხდის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. შემოსავალ გასავლის წიგნში იწერება ყოველგვარი შემოსული ფული და ყოველ გვარი ხარჯი. ქრონოლოგიურ კატალოგში ჩაიწერება ყოველი შემოწირული ან ნაყიდი წიგნი და ჟურნალი, იმის მიხედვით, თუ როდის შემოწირულა ან შეძენილა სყიდვით, შემოსვლის კვალობაზე. სისტე-

მატიურ კატალოგში უნდა ჩაიწეროს წიგნები დარგებად და ანბანზე დალაგებული. ქრონოლოგიურ კატალოგში სავსებით უნდა აღინიშნოს წიგნის სახელი, ავტორის გვარი და სახელი, რომელ ქალაქშია დაბეჭდილი წიგნი, რომელ წელს, რამდენ გვერდიანია და რა ღირს. მკითხველთა და ხელის მომწერთა წიგნში აღინიშნება ყველა, ვინც სახლში წაიღებს წიგნს, თუ გაზეთს ან სამკითხველოში წაიკითხავს. პირველ შემთხვევაში იწერება სახელი და გვარი წიგნის წამღებ სა, მისი სქესი, რა წიგნი წაიღო, როდის წაიღო და როდის დააბრუნა. მეორე შემთხვევაში ინიშნება ვინაობა იმისა, ვინც ამა და ამა დღეს სამკითხველოში ჰკითხულობდა წიგნს თუ გაზეთებს.

შენიშვნა: საკვიტანციო წიგნი და შემოსავალ-გასავლის წიგნი კვირაში ერთხელ უნდა შეამოწმოს კომგემ, თუ ბიბლიოთეკარი სხვა პირია.

§ 9. ბიბლიოთეკით სარგებლობა ყველას უფასოდ შეუძლია განურჩევლად წოდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

§ 10. ბიბლიოთეკიდან წიგნისა და ძველი ჟურნალის წაღება შეიძლება ორი კვირის ვადით, ხოლო ახალის ერთი კვირის შემდეგ სამი დღის ვადით. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება, თუ არავინაა იმავე წიგნის მსურველი. ერთს ხელის მომწერს შეუძლია მხოლოდ ერთის წიგნის და ერთი ჟურნალის წაღება.

3

არ შეიძლება ბიბლიოთეკიდან გატანა მეტად ძვირფასის წიგნისა, ახალი კალენდრისა, ჟურნალის და გაზეთის სამის უკანსკნელის ნომრისა.

§ 11. თუ ვინმემ გააფუჭა წიგნი, უნდა გადაიხადოს მისი ფასი.

§ 12. ბიბლიოთეკა-სამკითხველო ღიაა ყოველ დღე განსაზღვრულ დროს, რომლის საათებს დანიშნავს გამგეობა. ბიბლიოთეკა სრულიად დაკეტილია აღდგომის პირველ ორ დღეს, 24-26 დეკემბერს, ახალ წელიწადს, ნათლიღებას, 14 იანვარს, ვნების კვირის ორ უკანასკნელ დღეს და ყოველ კვირაში ერთ საქმის დღეს, რომელსაც ადგილობრივი პირობების მიხედვით აარჩევს გამგეობა.

გამგეობას შეუძლია დაბეჭდოს გაზეთებში მოწოდება და სთხოვოს საზოგადოებას დახმარება წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

3

არ შეიძლება ბიბლიოთეკიდან გატანა მეტად ძვირფასის წიგნისა, ახალი კალენდრისა, ჟურნალის და გაზეთის სამის უკანსკნელის ნომრისა.

§ 11. თუ ვინმემ გააფუჭა წიგნი, უნდა გადაიხადოს მისი ფასი.

§ 12. ბიბლიოთეკა-სამკითხველო ღიაა ყოველ დღე განსაზღვრულ დროს, რომლის საათებს დანიშნავს გამგეობა. ბიბლიოთეკა სრულიად დაკეტილია აღდგომის პირველ ორ დღეს, 24-26 დეკემბერს, ახალ წელიწადს, ნათლიღებას, 14 იანვარს, ვნების კვირის ორ უკანასკნელ დღეს და ყოველ კვირაში ერთ საქმის დღეს, რომელსაც ადგილობრივი პირობების მიხედვით აარჩევს გამგეობა.

გამგეობას შეუძლია დაბეჭდოს გაზეთებში მოწოდება და სთხოვოს საზოგადოებას დახმარება წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

დამატებანი:

№ 1. **კვიტანციის ფორმა**

№ 191 წ. ..... მიღებ.	№ 191 წ. ..... მიღებული
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ..... ბიბლიოთეკის სასარგებლოდ	..... ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების ..... ბიბლიოთეკის სასარგებლოდ .....
..... ბიბლიოთეკარი:	..... ბიბლიოთეკარი

სისტემატიური კატალოგი.

№ 2.

სისტემატიურ კატალოგში წიგნები უნდა დანაწილდეს შემდეგ დარგად: 1. სასულიერო წიგნები. 2. კაზმული მწერლობა (მოთხრობები, ლექსები, პიესები). 3. ისტორიულ ბიოგრაფიული, 4. გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული. 5. ბუნების მეტყველება და მედიცინა. 6. სასოფლო მეურნეობა. 7. საზოგადოებრივი წიგნები (სოციოლოგია, პუბლიცისტიკა, კრიტიკა, პოლიტიკური ეკონომია). 8. საბავშო წიგნები.

ქართული წიგნების კატალოგი ცალკე უნდა იქნეს შედგენილი, ხოლო რუსულის ცალკე.

ფორმა

სისტემატიური კატალოგისა.

№№ რიგზე.	№№ წელიწადი, თვე, რიცხვი წიგნების შეძენისა.	სრული სათაური წიგნებისა, ავტორის სახელი და გვარი; სად და როდის არის დაბეჭდილი და რამდენი გვერდია.	რამდენი ცალია.	ფასი ერთ ცალისა.		ჯამ.		
						მ.	კ.	მ.	კ.
1	1915 წ 2 იანვ.	**აბაშიძე გრ. თხზულებანი.** 1. ნაწილი. ავტორის სურათით. ქუთაისი. 1901 წ. 366 გვ.	2	უყდო		—	60	1	20
2	—	**არაგვისპირელი შ.** წიგნი 1. ავტორის სურათით. ტფილ. 1900 წ. 205 გვ. . .	1	ყდიანი		—	70	2	10

ფორმა
სისტემატიური კატალოგისა.

№№ რიგზე.	წელიწადი, თვე და რიცხვი წიგნების შეძენისა.	სრული სათაური წიგნებისა, ავტორის სახელი და გვარი; სად და როდის არის დაბეჭდილი და რამდენი გვერდია.	რამდენი ცალია.	ყდიანია თუ უყდო.	ფასი თითო ცალისა.		სულ	
					მ.	კ.	მ.	კ.
1	1915 წ 2 იანვ.	**აბაშიძე გრ. თხზულებანი.** 1. ნაწილი. ავტორის სურათით. ქუთაისი. 1901 წ. 366 გვ.	2	უყდო	—	60	1	20
2	—	**არაგვისპირელი შ.** წიგნი 1. ავტორის სურათით. ტფილ. 1900 წ. 205 გვ. . .	3	ყდიანი	—	70	2	10

№ 3. შინ მკითხველთა, ხელის მომწერთა და ბიბლიოთეკაში მკითხველთა წიგნი.

ეს წიგნი ორად უნდა იქნეს გაყოფილი (ან შეიძლება ორი განცალკევებული წიგნიც იყოს: 1) ხელის მომწერლებისათვის, 2) მკითხველთათვის.

წიგნი იმ პირთათვის, რომელთაც შინ წაიღეს წასაკითხად წიგნი, ჟურნალი ან გაზეთი.

სახელი და გვარი, მისამართი

№ ..... გოგია უიშვილი. ხელოსანი, მეურნე, 43 წლ. სცხოვრობს სოფ. №-ში (თუ ქალაქში, ქუჩა და სახლი).

ჩაეწერა 19 ..... წ.

როდის წაიღო წიგნი.	რა წიგნი ან ჟურნალი წაიღო.	აქ ხელი უნდ მოაწერ. წამლებმა.	როდის დააბრუნა
1915 წ. იანვრის 20 დღეს.	ე. ნინოშვილის თხზულება № 201		1915 წელს იანვრის 20 დღეს.

2 მკითხველებისათვის.

19 წ. ..... დღეს სამკითხველოში იყვნენ:

№№	სახელი და გვარი.	წოდება	ხელობა	წლოვანება
1	ივანე ადამიძე.	აზნაური	ვაჭარი	30 წ.
2	სოფიო გვრიტიშვ.	გლეხი	მუშა	24 წ.
3	ნიკო გძელიძე.	აზნაური		27 წ.

ამ საქმეში დანომრილია 4 ЛИСТОВ
5 " II 1956 г.

ЦГИА
ПРОВЕРЕНО:
" 11 " XI 1961 г.

ЦГИА
ПРОВЕРЕНО
23/VI

ამ საქმეში დანომრილია
ოთხი
შემოწმდა: 18 " XI 92